PLITONIT

პროფესიონალად ყოფნა ადვილია

Plitonit Deutsche Qualität

PLITONIT Mosaic White – მშრალი მოსაპირკეთებელი თეთრი წებოვანი ნარევი C1 TE სახელმწიფო სტანდარტის P 56387-ის მიხედვით

პროდუქტი განკუთვნილია ყველა სახის შუშის, კერამიკის, ქვისა და დეკორატიული მოზაიკის, მცირე ფორმატის მარმარილოს ფილების, ასევე მოსაპირკეთებელი კერამიკული ფილების ბეტონის, რკინაბეტონის, უჯრედოვანი ბეტონის, აგურის, თაბაშირ-მუყაოს, ცემენტის, ცემენტისა და კირის, თაბაშირის საფუძველზე დამზადებული ბათქაშის კედლებისა და იატაკის ზედაპირებზე დასაწებებლად შიდა და გარე სამუშაოების ჩატარებისას. გამოიყენება იატაკის გათბობისა და 50 m^3-მდე მოცულობის დაპრესილი მინის მოზაიკის მქონე დახურული აუზების მოსაპირკეთებლად. გააჩნია მაღალი პლასტიკურობა, რაც აუცილებელია მოზაიკით მოსაპირკეთებლად, ასევე წყალ და ყინვამედეგობა. მასალა მაქსიმალურად მოსახერხებელია გამოყენებისთვის. წებოვანი ნაკერის სისქის ფართო დიაპაზონი იძლევა როგორც მოზაიკასთან, ასევე ბუნებრივი ქვის ფილებთან მუშაობის საშუალებას. არ ცვლის მოსაპირკეთებელი მასალების თავდაპირველ ფერს.

დაფასოება - 25 კგ.

- მომატებული ადჰეზია – 1მპა
- თეთრი ფერი
- მომატებული ღია დრო – 30 წუთი
- სიარული და ნაკერების წაგლესა 24 საათის შემდეგ

მასალის ხარჯი

1,2-1,4 კგ/m^2 1 მმ სისქის შრის დატანისას

ფილის უდიდესი გვერდის სიგრძე, მმ	108-მდე	109-200	201-250	251-300	300-დან
ფითხის კბილის სიმაღლე, მმ					
მშრალი ნარევის ხარჯი 1m^2-ზე, კგ -დან					
25 კგ წებოს გამოყენებისას დაგებული ფილების ფართობი, m^2 -დან					

მასალის ხარჯი მითითებულია გასწორებულ ზედაპირზე მუშაობისას, დანაკარგების გაუთვალისწინებლად და შეიძლება, შეიცვალოს დატანის მეთოდიდან, ფუძის უსწორობისა და სამუშაოს შემსრულებლის პროფესიული უნარებიდან გამომდინარე.

სამუშაოების ჩატარების პირობები

სამუშაოების ჩატარებისას და შემდგომი 3 დღე-ღამის განმავლობაში აუცილებელია ჰაერისა, ზედაპირისა და ფილის ტემპერატურის შენარჩუნება +5°C-დან +30°C-მდე ფარგლებში. ხსნარის ნარევის ტემპერატურა სამუშაოების ჩატარების პროცესში – +10°C-დან +30°C-მდე.

ზედაპირის მომზადება

მოსაპირკეთებელი ზედაპირი უნდა იყოს მყარი, გასუფთავებული ჭუჭყისგან, მტვრისგან, ზეთებისგან, ცხიმებისგან, ყველა სახის საღებავისა და წებოსგან, ასევე აქერცვლადი ელემენტებისგან.

თაბაშირის ზედაპირებისა და წყლის მაღალი შთანთქმის მქონე ზედაპირების მოპირკეთების სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია პრაიმერით პლიტონიტ გრუნტით დამუშავება მწარმოებლის ინსტრუქციის შესაბამისად. შემდგომი სამუშაოები უნდა წარიმართოს პრაიმერის სრული გაშრობის შემდეგ.

ხსნარის ნარევის მომზადება

მშრალი ნარევის ადუღაბებისთვის აუცილებელია წყლის გამოყენება სასმელი წყალმომარაგებიდან. თაბაფარდობა შერევისას: 1 კგ მშრალ წებოვან ნარევზე საჭიროა 0,24-0,26 ლ წყალი (6,0-6,5 ლ 25 კგ-ზე). ჩაყარეთ მშრალი ნარევი წინასწარ აზომილ ოთახის ტემპერატურის წყალში და მოურიეთ 2-3 წუთის განმავლობაში ელექტრო მიქსერით ან პირიანი ელექტრო ბურღით ბრუნვის სიხშირით არაუმეტეს 600 ბრ/წთ-ისა ერთგვაროვანი კონსისტენციის მიღებამდე. მიეცით ხსნარის ნარევს 5 წუთი დალექვის საშუალება და მოურიეთ ხელახლა. განმეორებითი მორევის დროს დასაშვებია წყლის დამატება ზემოთ აღნიშნული თანაფარდობის მაქსიმალურ მნიშვნელობამდე. მზა ხსნარის ნარევის გამოყენების დრო - არაუმეტეს 4 საათისა (გამჭოლი ქარი და მაღალი ტემპერატურა ამცირებს ამ დროს).

მუშაობის წესი

თანაბრად წაუსვით მზა ხსნარის ნარევი გლუვი ფითხით ზედაპირზე და კბილა ფითხით მიეცით სავარცხლისებრი სტრუქტურა (ფითხის კბილების ზომა დამოკიდებულია ფილის ზომასა და სახეობაზე). ხსნარის ნარევი უნდა იქნას წასნული ისეთ ფართობზე, რომლის ფილებით მოპირკეთებაც შესაძლებელია 30 წუთის განმავლობაში (ღია სამუშაო დრო). წასმული წებოს ზედაპირზე შემშრალი ქერქის წარმოქმნის შემთხვევაში ხსნარის ნარევი უნდა მოიხსნას ზედაპირიდან და შეიცვალოს ახლით. დააგეთ ფილები წებოვანი ხსნარის ნარევზე და მსუბუქი მბრუნავი მოძრაობებით ჩაზნექეთ მასში. ფილის მდგომარეობის კორექტირება შესაძლებელია მომდევნო 20 წუთის განმავლობაში. გამჭოლი ქარი, მაღალი ტემპერატურა, ასევე ზედაპირის ძლიერი შთანთქმადობა ამცირებს ღია სამუშაოსა და კორექტირების დროს. ფილები იგება ღია ნაკერებით და სწორდება შესაბამისი მოწყობილობებით. 2 მმ-ზე მეტი სიმაღლის მქონე რელიეფური უკანა მხარის მქონე ფილების ან 30x30 სმ-ზე მეტი ზომის ფილების მოპირკეთებისას ფილის ქვეშ სიცარიელის თავიდან ასაცილებლად და შეჭიდებულობის სიმტკიცის გასაზრდელად აუცილებელია წებოს კომბინირებული მეთოდით წასმა (როგორც ზედაპირზე, ასევე ფილის უკანა მხარეს). ზედაპირზე წებო ისმევა ზემოთ აღწერილი წესით. ფილის უკანა მხარეს წებო ისმევა ჯერ კბილა ფითხით, შემდეგ კი გლუვი ფითხით თანაბრად ნაწილდება ფილის მთელ ფართობზე. კომბინირებული მეთოდით მასალის ხარჯი იზრდება 1,4 კგ/მ²-ით 1 მმ შრის სისქის შემთხვევაში.

ყურადღება

მოპირკეთებულ იატაკზე სიარული და ნაკერების წაგლესა დასაშვებია არაუადრეს, ვიდრე 24 საათში. მითითებული დროითი მახასიათებლები მოქმედებს გარემოს 20±2°C ტემპერატურაზე, ჰაერის 60±10% ფარდობით ტენიანობაზე და სხვა ტემპერატურულ და ტენიანობის პირობებში შეიძლება, შეიცვალოს. სამუშაოების ჩატარებისას უნდა იხელმძღვანელოთ ზოგადი სამშენებლო სამუშაოების ჩატარების ინსტრუქციებითა და უსაფრთხოების ტექნიკით მშენებლობაში. დაგებამდე ფილები არ დაალბოთ, ფილების უკანა მხარე გაწმინდეთ მტვრისა და ჭუჭყისაგან. სამუშაოების ჩატარების პროცესში საჭიროა დროდადრო ხსნარის ნარევის მორევა. მზა ხსნარის ნარევში აკრძალულია წყლის დამატება.

უსაფრთხოების ზომები

ნარევი მიეკუთვნება საშიშროების მე-4 კლასს (მცირე საშიშროების მქონე ნივთიერებები) სახელმწიფო სტანდარტის 12.1.007-ის მიხედვით. სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ ხელთათმანები, დამცავი სათვალეები, სასუნთქი ორგანოების დამცავი საშუალებები. მოერიდეთ ნარევის კანზე და თვალებში მოხვედრას. თვალში მოხვედრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ამოიბანეთ წყლის დიდი რაოდენობით. მოარიდეთ ბავშვებს.

ტრანსპორტირებისა და შენახვის პირობები

ნარევის ტრანსპორტირება უნდა მოხდეს დახურულ სატრანსპორტო საშუალებებში ტვირთების გადაზიდვის წესების შესაბამისად. ტომრები მშრალი ნარევით უნდა იქნას შენახული დახურულ მშრალ შენობა-ნაგებობებში, რომლებიც უზრუნველყოფს შეფუთვის დაცულობა და აარიდებს დატენიანებისგან. მწარმოებლის ტარაში შენახვის ვადა - 12 თვე დამზადების დღიდან.

შემადგენლობა

ქვიშა, პორტლანდცემენტი, მინერალური შემავსებელი, მამოდიფიცირებელი დანამატები.

მწარმოებლის გარანტია

მწარმოებელი იძლევა გარანტიას, რომ ნარევი შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტის 56387-ის, C1 TE-ს კლასისა და ტექნიკური პირობების 23.64.10205-51552155-2020-ის მოთხოვნებს, თუ მომხმარებელი დაიცავს ტრანსპორტირების, შენახვის პირობებს და ამ ინსტრუქციის მითითებებს. მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი მასალასთან მუშაობის ტექნოლოგიის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასევე მისი გამოყენებისთვის იმ მიზნებსა და პირობებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მიცემული ინსტრუქციით. წონა ნეტოდან გადახრა შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტ 8.579-2002-ს. პროდუქცია გამოყენება ნებადართულია სამოქალაქო მშენებლობის ყველა სახეობაში (ბუნებრივი რადიონუკლიდების ეფექტური ხვედრითი აქტივობა<370 ბკ/კგ, რადიაციული უსაფრთხოების ნორმების-99/2009 სანიტარული წესები და ნორმები 2.6.1.2523–09).

ტექნიკური მახასიათებლები

შემვსების მაქსიმალური ფრაქცია	0,63 მმ
წებოვანი ნაკერის მაქსიმალური სისქე	10 მმ
წყლის რაოდენობა 1 კგ ნარევზე 25 კგ ნარევზე	 0,240,26 ლ 6,0-6,5 ლ
სამუშაოების ჩატარების ტემპერატურული რეჟიმი	+5°C-დან +30°C-მდე
ღია სამუშაო დრო, არანაკლებ	30 წუთი
ფილის კორექტირების დრო, არანაკლებ	20 წუთი
ხსნარის ნარევის სიცოცხლისუნარიანობა	4 საათი
წასაგლესი სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა,	24 საათში
ექსპლუატაციის ტემპერატურული რეჟიმი,	-50°C-დან +70°C-მდე
სიმტკიცის მარკა კუმშვაზე, არანაკლებ	M50
ყინვამედეგობის მარკა, არანაკლებ	F100
ჰაერზე გამშრალი წებოვანი შეერთების სიმტკიცე 28 დღე-ღამის განმავლობაში დაყოვნების შემდეგ	≥1,0 მპა
წებოვანი შეერთების სიმტკიცე წყლის გარემოში დაყოვნების შემდეგ	≥0,5 მპა
წებოვანი შეერთების სიმტკიცე მაღალ ტემპერატურებზე დაყოვნების შემდეგ	≥0,5 მპა
წებოვანი შეერთების სიმტკიცე ციკლური გაყინვისა და გალღობის შემდეგ	≥0,5 მპა
ღია დრო ზედაპირთან შეჭიდებულობის სიმტკიცის მიხედვით ჰაერზე დაყოვნების შემდეგ	≥0,5 მპა
წებოს კლასი სახელმწიფო სტანდარტის P 56387-ის მიხედვით	C1 TE

ლოგისტიკური ინფორმაცია

ინდივიდუალური შტრიხკოდი 4607013046160 ტომრების რაოდენობა პალეტზე – 48 ც.